იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

სამშობლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 19 (203)


ოქტომბერი,

1968 წელი



რთველია საქართველოში.

საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ბიბლიოთეკა



თეატრის იუბილე

სექტემბრის ბოლოს საქართველოს საზოგადოებრიობამ აღნიშნა ქალაქ ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის **100** წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ზუგდიდში გაიმართა საიუბილეო-საზეიმო საღამო.

სურათზე: ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობის წინა ფასადი.

პაკისტანის შეკვეთით

„ნანი“ — ასე ეწოდება პაკისტანურ ეროვნულ პურს, რომელიც თავისი გემოთი და დამზადების ტექნოლოგიით ქართულ პურს მოგვაგონებს.

პაკისტანის შრომის შეკვეთით საქართველოს კვების მრეწველობის საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტებმა შეიმუშავეს ტექნიკური წინადადებანი მექანიზებული პურის საცხობის მშენებლობისათვის. პროექტის ავტორია დ. ნატროშვილი, მთავარი ინჟინერი — რ. მელიქ-ფარსადანოვი.

წინადადებას საფუძვლად დაედო ქართული პურის ცხობის ტექნოლოგიური სქემა. საცხობის გახურება შეიძლება ელექტროენერგიით და გაზით. მისი ნაყოფიერებაა ორი ტონა პური ცვლაში.

ტექნიკურ წინადადებებს დადებითი შეფასება მისცა კვების მრეწველობის საპროექტო ორგანიზაციების მთავარმა სამმართველომ.

ყველგან მოსწონთ

როცა ლაპარაკი ჩამოვარდება ხოლმე თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის პროდუქციაზე, აღნიშნავენ მის კარგ ხარისხს, საიმედობასა და ხანგამძლეობას. მაგრამ სანამ მომხმარებელთა აღიარებას დაიმსახურებდა, ქარხნის კოლექტივმა ბევრი რამ გააკეთა: შეცვალა ხელსაწყოების დამზადების მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესები, გააუმჯობესა მოწყობილობა, განაახლა მანქანების პარკი და სხვ.

ჰიდრომეტრიული დისტანციური დანადგარი მდინარეების სიჩქარისა და სიღრმის ავტომატური გაზომვისათვის, რომელიც ქარხნის კოლექტივმა შექმნა, პირველად ჩვენს ქვეყანაში აღიარეს საუკეთესოდ. ქარხნის მიერ გამოშვებული ბევრი პროდუქცია შეესაბამება მსოფლიოს სტანდარტებს. ერთ-ერთი მათგანია, მაგალითად, ხელსაწყო ნიადაგის ნიმუშების ასაღებად.

ამ ქარხანას უწოდებენ ქარხანა-ლაბორატორიას. ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების შექმნის დარგში მომუშავე საბჭოთა მეცნიერებისა და კონსტრუქტორების თითქმის ყველა ჩანაფიქრი აქ ხორციელდება. ქარხნის კოლექტივმა უკანასკნელ ათ წელიწადში მოაწყო რთული ჰიდრავლიკური და მეტეოროლოგიური ხელსაწყოების წარმოება. 40 სახეობის ხელსაწყოებიდან, რომლებსაც ახლა საწარმო უშვებს, მნიშვნელოვანი ნაწილი იგზავნება **ავღანეთში, ეგვიპტეში, ბრაზილიაში, პაკისტანში, ინდოეთსა** და **სოციალისტურ ქვეყნებში.** თბილისური ხელსაწყოები **ექსპონირებულია საერთაშორისო ბაზრობებზე და წარმატებით უწევენ მეტოქეობას მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს.** ასეთებია, მაგალითად, რთული ხელსაწყოები, რომელთა კონსტრუქციას საფუძვლად უდევს რადიოელექტრონული ტექნიკა. კარგი სახელი დაიმსახურეს ზღვის წყლის დინებისა და მიმართულების დისტანციურმა თვითმწერებმა. უნიკალურთა შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს ხელსაწყო, რომელიც განსაზღვრავს ჩაის ფოთლის ხარისხს, მეტეოროლოგიური ანძები და სხვ.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა დანერგოს პროდუქციის უდეფექტოდ ჩაბარების სისტემა. უკვე დაიწყო სამუშაოები ტექნოლოგიური პროცესების, ტექნიკური აღჭურვილობის გასაუმჯობესებლად. ქარხანას შეემატება ახალი მოწყობილობა, გაფართოვდება ზოგიერთი უბანი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მუშების, ინჟინრებისა და კონტროლიორების ტექნიკურ სწავლას.

პროდუქციის უდეფექტოდ ჩაბარების დანერგვა დაეხმარება ქარხანას კიდევ უფრო აამაღლოს საკუთარი მარკის ღირსება.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი გარემოება: მალე ქარხანა გადავა ახალ შენობაში საბურთალოს რაიონში. ახალი საწარმო აღჭურვილი იქნება ყველაფრით, რაც საჭიროა ნაყოფიერი შრომისათვის. პროდუქციის გამოშვება 2,5-ჯერ გაიზრდება.

ინდუსტრიული რუსთავის მომავალი

რუსთავი. რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სააქტო დარბაზში მოეწყო ქალაქ რუსთავის დაგეგმვის 1980-2000 წლების გენერალური პროექტის განხილვა.

განხილვაში მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლები.

ახსნა-განმარტებას იძლეოდა პროექტის მთავარი არქიტექტორი დ. ა. მელიქიშვილი.

რუსთავს დიდი მომავალი აქვს. ქალაქი გაიზრდება, გაფართოვდება, მწყობრში ჩადგება ახალი საწარმოები, გაფართოვდება ძველი საწარმოები.

რუსთავის ტერიტორიული ზრდა ძირითადად განზრახულია მტკვრის ნაპირის ათვისებით ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით თბილისისაკენ.

პროექტი ითვალისწინებს ახალი ადმინისტრაციული, სავაჭრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების მშენებლობას. მათ შორის იქნება კულტურის სახლები და კლუბები 3.750 კაცისათვის, საჯარო ბიბლიოთეკა ერთი მილიონი ტომისათვის, პანორამული და ფართო ეკრანის კინოთეატრები 4.750 ადგილით, 1.250-ადგილიანი დრამატული თეატრი, 1.000-ადგილიანი საკონცერტო დარბაზი, 1.000-ადგილიანი ცირკი, 1.500-ადგილიანი სასტუმრო, საგამოფენო დარბაზები, მუზეუმები, სკოლები, საბავშვო ბაღები და ბაგები, სამედიცინო დაწესებულებები, მექანიზებული სამრეცხაო და სხვა ობიექტები.

სასპორტო კომპლექსში შევა 25 ათას ადგილიანი სტადიონი, სპორტის სასახლე, ღია და დახურული საცურაო აუზი.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გაშენდება კულტურისა და დასვენების ახალი პარკი, საბავშვო პარკი. აშენდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

ქალაქ რუსთავის დაგეგმვის 1980-2000 წლების გენერალური პროექტის განხილვის დროს შეტანილი იყო მთელი რიგი შენიშვნები და წინადადებანი.

„ბურჯი ეროვნებისა არის მშობლიური ენა“, —

ამბობდა

იაკობ გოგებაშვილი.

ი ზ ა რ დ ე, მწვანე ხეხილო...

იმ დღეს მეორედ იგლოვა საყვარელი ადამიანი ქართველმა ხალხმა. ვალმოხდილი მამულიშვილისა და ზემადლითცხებული პოეტის ტატო ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან მშობლიურ მიწაზე ჩამოასვენეს...

დიდუბის ეკლესიის გალავანში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მათ შორის იყო უკვე კარგად ცნობილი პოეტი და მთარგმნელი **იოსებ ბაქრაძე.** იოსებს ხელი ჩაეჭიდნა პატარა გოგონასთვის და ხალხის ტალღას მიარღვევდა.

როცა ეკლესიის შესასვლელს მიუახლოვდნენ, შეჩერდნენ. იქვე, შესასვლელთან, ილია და აკაკი იდგნენ. იოსები მიუახლოვდა მათ და ხელი ჩამოართვა.

— ეს გოგონა ვისია? — იკითხა აკაკიმ.

— ჩემი ქალიშვილია, — მიუგო იოსებმა.

— მადლობა ღმერთს, სოსიკო, ძლივს დავინახე შენი ორიგინალი, — თქვა და ჩვეული ნათელი ღიმილი მოეფინა სახეზე.

პატარა ნინომ ამ სიტყვების აზრი ცოტა მოგვიანებით გაიგო — იოსებ ბაქრაძე ხომ მწერლობაში მეტწილად მთარგმნელობითს მუშაობას ეწეოდა.

„შვიდი წლისა ვიყავი, — წერს **ნინო ბოცვაძე, — როცა დედამ ქართული კითხვა დამაწყებინა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით“. პატარაობიდანვე მიყვარდა „დედა ენა“ და ეს გრძნობა ამ ძვირფასი წიგნისადმი დღევანდლამდე მომყვა“.**

იოსებ ბაქრაძის ოჯახში თავს იყრიდნენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, მამულიშვილები, რომელთაც ერის წყლული აჩნდათ წყლულად: ილია წინამძღვრიშვილი, ნიკო ლომოური, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ცხვედაძე და სხვანი. **„რა შინაარსიანი იყო მათი საუბარი,** — იგონებს ნინო, — **იგი უმთავრესად ჩვენი ქვეყნის სვებედის ირგვლივ ტრიალებდა და ჩვენს გულშიაც ღრმად ითესებოდა მშობლიური ქვეყნის სიყვარული“.**

ასეთ გარემოცვაში იზრდებოდა ნინო. მშობლები თუ ოჯახთან დაახლოებული პირნი თავიანთი არსებობით, საქმიანობით, მოღვაწეობით მას სამშობლო ქვეყნის სიყვარულს შთააგონებდნენ. ბავშობაშივე იგრძნო ნინომ, რომ რაც უფრო შესტკივა კაცს გული საზოგადოებრივ ჭირ-ვარამზე, მით უფრო ჭეშმარიტი ადამიანია იგი; ბავშვობაშივე მისი გულისა და გონების ნაწილი გახდა დიდი ილიას სიბრძნე: **„მტრობა ენისა არის მტრობა ქვეყნისა“.**

ნინო ბოცვაძის როგორც პედაგოგისა და აღმზრდელის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა იმ ფაქტმაც, რომ მან თავისი ცხოვრება დაუკავშირა უანგარო მოღვაწესა და შესანიშნავ პედაგოგს „მეორე იაკობს“, როგორც მას ქართველი ხალხი უწოდებს — ლუარსაბ ბოცვაძეს. ათიოდე წლის მანძილზე ნინო და ლუარსაბი, ეს ოჯახური სითბოთი გამთბარი ორი ადამიანი, ერთად ეწეოდნენ ერის სამსახურის მძიმე ჯაფას.

თავდაუზოგველმა შრომამ, ქვეყნის ჭირ-ვარამზე განუწყვეტელმა ფიქრმა ადრე გატეხა ლუარსაბის ჯანმრთელობა და იგი ორმოცდათოთხმეტი წლისა გარდაიცვალა. თავის ცხოვრების მეგობარს იმედად ორი მცირეწლოვანი ბავშვი დაუტოვა, სანუგეშოდ და გასამხნევებლად ერისა და ქვეყნის სამსახური უანდერძა. არცერთისათვის არ უღალატნია პატივცემულ ნინოს.

ოჯახი, გარემო, დიდ ადამიანებთან სიახლოვე, მშობელი ქვეყნის ჭირ-ვარამი, ლუარსაბის ნათელი სახე — ყოველივე ეს ცხოვრად დააჩნდა ნინოს სულს, მოჰყვა დღემდე და მოჰყვა ისე, რომ „საშვილიშვილოდ გადაეცემის“.

დღეს ნინო ბოცვაძის სახელი ნაცნობი და ახლობელია ყველა იმათგანისათვის, ვისაც მის სახელმძღვანელოებზე ენა აუდგამს, იმათთვის, ვისაც „დედა ენა“ ერთხელ მაინც სჭერია ხელთ და მისი სითბო და ძალა უგრძვნია.

შეუძლებელია ახსენოთ ნინო ბოცვაძე და არ მოგაგონდეთ ის დიდი ამაგი, რომელიც მან წელთა მანძილზე „დედა ენას“ დასდო; შეუძლებელია ილაპარაკოთ მასზე და თვალწინ არ დაგეხატოთ შესანიშნავი აღმზრდელი, გულმოდგინე პედაგოგი, კეთილშობილი და სპეტაკი ადამიანი.

დედა ენა...

რა ღრმა და ბევრის შემცველია ეს სიტყვა. რა საამოდ ჩაგესმის, რამდენ რამეს მოგაგონებს, რა დიდებულ ფიქრებსა და გრძნობებს აგიშლის. რახანია ეს ორი სიტყვა „დედა“ და „ენა“ ერთ მცნებად შედუღაბდა: ერთი უდიდესი სიყვარულისა და სიწმინდის გამომხატველი, მეორე — საშუალება აზროვნებისა, ადამიანთა ურთიერთობისა... რახანია ეს ორი მცნება ერთმანეთში გადაინასკვა და მოგვცა ძვირფასი, ტკბილსათქმელ-გასაგონი, დიდი აზრის სიტყვა „დედა ენა“.

„დედა ენა“ ჭკაუთხედია ერის არსებობისა“ — თქვა ერთმა; **„დედა ენა უბრალო ხმების კრება კი არ არის, არამედ თვით აზრია ხალხისა, თვით სულია მისი“** — დაურთო მეორემ; **„ბურჯი ეროვნებისა არის მშობლიური ენა“** — გვითხრა იაკობმა...

აღნიშნული სახელმძღვანელოები მიჩნეულია შესანიშნავ, სრულყოფილ საანბანო კრებულად ქართული დაწყებითი კლასებისათვის და წლების მანძილზე წარმატებითაც სარგებლობს ამ უფლებით.

ბოცვაძისა და ბურჯანაძის „დედა ენის“ ღირსება და უკვდავება განაპირობა იმან, რომ ავტორები წიგნის შედგენისას ეყრდნობოდნენ გოგებაშვილისეულ „დედა ენას“, ხელმძღვანელობდნენ დიდი პედაგოგების უშინსკისა და გოგებაშვილის პრინციპებით.

ყოველივე ამან განაპირობა ისიც, რომ ვენესუელაში მოწყობილ გამოფენაზე, სადაც წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა ქვეყნის საანბანო წიგნი, დიდი მოწონება ხვდა ქართულ „დედა ენას“. **„უაღრესად გმადლობთ თქვენ მიერ გამოგზავნილი „დედა ენისათვის“. გამოგზავნილი წიგნი საუკეთესოთაგანია ჩემ მიერ ნანახ წიგნთა შორის“,** — წერდა გამოფენის მომწყობი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე ი. ესპინოზა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი გამოგზავნილ წერილში.

„მიყვარდა და მიყვარს ბავშვის სპეტაკი გული, მისი ხალასი გრძნობა, მისი ფოფინი, მისი ფეხის ადგმა ცხოვრებაში, მისი პირველი ნაბიჯები ბუნებისა და ცხოვრების გასაცნობად, მიყვარს ეს სიცოცხლის ნასკვი, ახლად რომ იშლება და იფურჩქნება“, — ასე იწყებს ღვაწლმოსილი პედაგოგი მოგონებათა წიგნის ერთ-ერთ თავს. განსაკუთრებული სიძლიერითა და დამაჯერებლობით ისმის ეს სიტყვები მაშინ, როცა თვალს გადაავლებთ შესანიშნავი აღმზრდელის მიერ განვლილ პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზას.

ამ დიდმა გრძნობამ — ბავშვებისადმი უანგარო და სპეტაკმა სიყვარულმა მოიყვანა ნინო სკოლაში; ნახევარი საუკუნის მანძილზე ეს სიყვარული ჩარაღდნად უძღვებოდა წინ და ერის ფენების, — როგორც იაკობი უწოდებდა მშვიდ პედაგოგისა და დიდებული მოქალაქის — ნინო ბოცვაძის ცხოვრებაში, რითაც შეიძლება იამაყო, რამაც შეიძლება დიდი სულიერი სიამოვნება მოგანიჭოს, რაც შეიძლება ღრმა პატივისცემით მოიგონო და ადამიანებს უამბო.

1960 წელს საქართველოს პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ ხანდაზმული და ღვაწლმოსილი აღმზრდელი, პედაგოგი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ნინო იოსების ასული ბოცვაძე პენსიაზე გააცილა. ტრადიცია გრძელდება — ნინოს შვილიშვილი ნინო იოსების ასული ბოცვაძე, როცა გაკვეთილზე შედის და ჭა-



რთული ენის სახელმძღვანელოს შლის, თვალწინ დიდებული წინაპრების სახეები წარმოუდგება, რაც ამხნევებს და პასუხისმგებლობის გრძნობას უძლიერებს.

ხანდაზმული, თუმცა ახალგაზრდული ენერგიით, სურვილებითა და ოცნებებით გამხნევებული აღმზრდელი გატაცებით მუშაობს თავის ახალ წიგნზე. ვინ იცის რამდენი რამ აქვს სათქმელი თავისი ხალხისათვის, ახალგაზრდა კოლეგებისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის.

ნინო ბოცვაძის სიცოცხლე ნახევარ საუკუნოვანი განახლებული ცხოვრების წიგნის ერთი ნათელი ფურცელია, რომელზეც ერის, ქვეყნის, საქმის, ნორჩებისა და კიდევ ბევრი წმინდა სიტყვის ერთგულება და სიყვარული სწერია.

„დღეს რომ მკითხონ — რას აირჩევდი სამოქმედო ასპარეზად, ახალგაზრდობა რომ დაგებრუნდესო, მე დაუფიქრებლად ვიტყოდი: გამიღეთ სკოლის კარი და მომეცით ბავშვი — ეს მშვენიერება სამყაროსი“ — ამბობს ნინო ბოცვაძე.

ჩვენ კი ჩვენს მოკრძალებულ სიყვარულს ამ სიტყვებით დავამთავრებდით:

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო,
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!

დ. შენგელია.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ნ ი ნ ო ბ ო ც ვ ა ძ ე.

მეცნიერის ხსოვნისათვის

შესანიშნავ მეცნიერს, მკვლევარს, პედაგოგსა და მოქალაქეს პროფესორ მ. გოგიბერიძეს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში, ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. მ. გოგიბერიძე ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც ერთ-ერთი პირველები ამოუდგნენ მხარში თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლებს და მათთან ერთად დასახეს საპატიო ამოცანა — ეროვნული კულტურის აღორძინება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა, ფილოსოფიის დარგის მეცნიერული მუშაობის კოორდინაციის რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ მოაწყვეს პროფესორ მ. გოგიბერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი გაერთიანებული სამეცნიერო სესია.

ბუდემოშლილნი

ამირან ცამციშვილი

ამირან ცამციშვილის წიგნში „ბუდემოშლილნი“ აღწერილია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის იმ გამოჩენილ ქართველ ვოკალისტ ქალთა ცხოვრება და შემოქმედება, რომელთა მოღვაწეობა ძირითადად უცხოეთის კულტურულ სარბიელზე წარიმართა. რუსულ-ქართულ და საზღვარგარეთულ პრესაში გაბნეული მასალების, აგრეთვე თვით მომღერალთა პირად არქივებში ნახული და უცხოეთიდან მიღებული კორესპონდენციებისა თუ რეცენზიების საფუძველზე ავტორი გადმოგვცემს ბედის მაძიებლობის შედეგად ევროპის ქვეყნებში გადატყორცნილ, უცხოეთს სამუდამოდ შეხიზნულ მანდილოსანთა ღვაწლმოსილებას.

◆

ქართული ხალხური სიმღერის, საეკლესიო გალობისა და მუსიკის საწყისები ათასი წლების მიღმა უნდა ვეძიოთ. ქართველმა ხალხმა ხელოვნების ეს საუნჯე ისტორიულ ქარტეხილებში გამოატარა და წმიდად მოიტანა ჩვენამდე. სიმღერა და გალობა ოდითგანვე ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის განუყრელი თანმხლები იყო. მხედარ-მეომართა ლაშქრულს, მაყრულს, მოქეიფეთა სუფრულს, გლეხთა სიმღერას თუ დამწუხრებულთა ზარს ქართული მუსიკა ბანს აძლევდა ხალხური საკრავით. ასეული წლების მანძილზე, იერუსალიმის ჯვრის, პალესტინის ლაზთა, ათონს ივერიის, პეტრიწონის, ღალიას (კვიპროსზე), ანტიოქიის მიდამოებში მიმობნეულ სიმონის, რომანის, პროკოფის, წყაროთა, ლერწმის, ეზდრას, კალიპოს, კასტანას, თომას, ბარლამის, ევაგრი პონტოელის საყუდელ ეკლესია-მონასტრებში დიდებულად გუგუნებდა უძველესი საგალობლები და საქართველოში მჟღერ ხალხურ სიმღერა-გალობასთან ერთად საფუძველს უყრიდა მდიდარ პოლიფონიურ ქართულ მუსიკალურ კულტურას. ხელოვნების ამ დარგს ქართული კულტურის მშობლიურ და უცხოეთის ცენტრებში მრავალი მზრუნველ-შემოქმედი და გულშემატკივარი ჰყავდა.

აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიის შესწავლამ ჩვენს მატიანეს შესძინა ქარიშხლისგან მიმოფანტული ქართული ეტრატის ფურცლები და ხელოვნების უჩინო ჩინოსანნი. თუ ასეთივე გულისყურით მოვეკიდებით ევროპასთან საქართველოს კულტურული ურთიერთობის შესწავლას, მაშინ მათ ნუსხას შეემატება მუდმივი ომებითა და ჟამთა სიავით აოხრებული სამშობლოდან გადახვეწილი უცნობი მამულიშვილნი, რომლებმაც სანაქებო საქმეებით თავისებური წვლილი შეიტანეს მშობლიურ და უცხოეთის ხალხთა კულტურაში. სამწუხაროდ სამშობლოდან ევროპაში გადახვეწილი ქართული ხელოვნებისათვის მოამაგე ზოგიერთი ადამიანის სახელი ალბათ სამუდამოდ მიიფერფლა.

ქართულ გალობას, ხალხურ სიმღერას, მუსიკას თუ დიდი ისტორია და ბრწყინვალე ტრადიციები აქვს, სამაგიეროდ პროფესიული მუსიკალური ხელოვნება და კლასიკური ვოკალური კულტურა მოგვიანებით მკვიდრდება. კამერული მუსიკა საქართველოში მხოლოდ რუსეთთან შერთების შემდეგ შემოვიდა, ხოლო საოპერო — მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, სწორედ მაშინ, როდესაც თბილისში მოიწვიეს იმჟამად რუსეთში გასტროლებზე მყოფი იტალიური ოპერის დასი ბარბიერის დირიჟორობით. საქართველოს მოედო იტალიური მუსიკის ტკბილი ჰანგები; ქართველთა ყურთასმენას ღრმად ჩასწვდა „ბელკანტო“, ნეაპოლიტანური რომანსები კი მოდად იქცა. იტალიური მუსიკის სინატიფე და ვოკალური ხელოვნების ვირტუოზული ტექნიკა მაგიური ძალით იზიდავდა ყველას. საზოგადოებამ თანდათან გამოიმუშავა კლასიკური მუსიკალური გემოვნება და ხალხი ქართულ ლექსებს იტალიური მუსიკის ტკბილ ჰანგზე მღეროდა.

იტალიელ და რუს მომღერლებს ქართველობა აღტაცებით ხვდებოდა. ქართველი მომღერლები კი არსად ჩანდნენ. არ იყო ქართული მუსიკალური სკოლა, ეროვნულ კადრებზე არავინ ზრუნავდა. მხოლოდ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გამოჩნდნენ პირველი ქართველი მომღერალი ქალები, რომლებიც საკუთარი ინიციატივით დაეუფლნენ ვოკალურ ხელოვნებას და საოპერო სცენის სამსახურში ჩადგნენ. მათ შესახებ რატომღაც მცირე მასალები მოიძებნება, მით უმეტეს, უცხოეთში მომღერალ ქართველ ქალებზე, მაგრამ მაინც შესაძლებელია აღვნიშნოთ მათი ღვაწლი. ქართველი ქალები მონაწილეობდნენ საკულტო, სამგლოვიარო და სამხიარულო რიტუალებში, რაც ცალკეა შესასწავლი, ჩვენ კი მხოლოდ ვოკალურ დარგში მოღვაწე ქალებს შევეხებით, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩამბმულნი ქართული ვოკალური სკოლის დაარსების, განვითარებისა და განმტკიცების საშვილიშვილო საქმეში. ზოგიერთმა ქართველმა მომღერალმა ქალმა გარკვეული წვლილიც კი შეიტანა ევროპულ-ქართული მუსიკალური ურთიერთობის განვითარებაში, რასაც ვერ დავივიწყებს მადლიერი შთამომავლობა.

ქართველი ქალის ნატიფი მუსიკალური სმენა ზუსტად ითვისებდა ევროპულ, მათ შორის იტალიურ კეთილშეძერად სიმღერებს. სასწავლებლებში, ოჯახებსა და სალონებში მანდილოსნები ხშირად საქართველოში ჩამოსული უცხოელი მუსიკოსებისა და მომღერლების ყურადღებას იქცევდნენ ნაზი, ხავერდოვანი, წკრიალა დრამატული, ლირიკული და კოლორატურული სოპრანოთი.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო წმინდა ოჯახი, სახელოვანი დედობა, ტკბილი და-ძმობა, ერთგული მეგობრობა და, როგორც უკვდავი ილია იტყოდა ხოლმე, ხშირად კარგი დედაკაცობაც. მაგრამ ქართულ ხელოვნებაში გამოჩენილი მანდილოსანი უჩვეულო მოვლენა იყო, ხოლო მეტ-ნაკლებად ცნობილი მოღვაწე ქალი საოცნებო, მით უმეტეს, რომ ძველის გავლენით მე-19 საუკუნეშიც საზოგადო ასპარეზზე გამოსულ ქალს ათასობით დამცინავი თვალი უმზერდა, ასობით ენა-ჰარტყლა კიცხავდა და ჭორავდა. გარდა ამისა, რომ რევოლუციამდელ საქართველოში ქალებს არ გააჩნდათ პოლიტიკური უფლებები, მათ არ ჰქონდათ აგრეთვე ცხოვრების ნორმალური და მინიმალური მატერიალური პირობებიც. ამასთან, მწვავედ იგრძნობოდა კულტურის კერათა სიმცირე და უცხოელ გასტროლიორთა კონკურენცია. მიუხედავად ამისა, მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე კულტურულ სარბიელს მოევლინენ ქართველი ხელოვანი ქალები, მათ შორის მომღერლებიც, რომლებიც არამცთუ გვერდში ამოუდგნენ უცხოელებს, არამედ ღირსეული პარტნიორობაც გაუწიეს მათ. ზოგიერთი კი მშობლიური მუსიკალური სკოლის გავლისა და რუსული ვოკალური ხელოვნების დაუფლების შემდეგ მსოფლიოს კულტურული ცენტრების სასურველი სტუმარი ან ევროპის საოპერო სცენის მუდმივი მსახური გახდა.

უცხოეთში მოღვაწე ქართველ მომღერალ ქალთა შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მეცოსპრანო ნ. ი. ყორღანაშვილი, რომელიც „დარიალის“ ფსევდონიმით მოღვაწეობდა. „გერმანიის სამეფო კარის სოლისტად“ ცნობილი ყორღანაშვილი გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოდიოდა საზღვარგარეთის ქვეყნების საოპერო თეატრის სცენებზე და თავისი შესანიშნავი სიმღერით ხიბლავდა განებივრებულ მსმენელთ. 1886 წელს იგი თბილისსაც ეწვია. კონცერტები გამართა და თანამემამულენი მოაჯადოვა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ დარმშტადტის ოპერის ცნობილი სოლისტი მარგალიტა ნიჟარაძე, რომელიც 1920 წელს თბილისს ეწვია და სასტუმრო „ნოეს“ საკონცერტო დარბაზში 6 მარტს მოწყობილ კონცერტში მიიღო მონაწილეობა.

ვენის კონსერვატორიაში სწავლობდა და კონცერტებში მონაწილეობდა მომღერალი თინათინ გოცირიძე. ვენის ოპერაში გამართულ კონცერტზე გამოსვლის შემდეგ თეატრალურმა ჟურნალმა სპეციალური სტატია გამოაქვეყნა სათაურით: „ამომავალი ვარსკვლავები“, რომელიც იუწყებოდა: „ახალგაზრდა მომღერალ ქალთა შორის ყურადღება მიიპყრო კავკასიური ტიპის შავგვრემანმა ქალმა. მას აქვს მშვენიერი კოლორატურა. ვენაში ჩამოსვლამდე იგი თავის სამშობლოში სწავლობდა. ვენაში ჩამოვიდა მუსიკალური განათლების მიღების მიზნით. თ. გოცირიძე დღესდღეობით უცნობია საზოგადოებისათვის, მაგრამ მისი ხმის იშვიათი ღირსება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მისი სახელი შეიძლება ისეთი ცნობილი იქნეს, როგორც „რაბინდრანათ თაგორი“.

1927 წელს იტალიაში სწავლობდა და შემდეგ პარიზში გადავიდა კოლორატურული სოპრანო იულია ჩიკვაიძე. იქვე, რესაიავით აოხრებული სამშობლოდან გადახვეწილი უცნობი მამულიშვილნი, რომლებმაც სანაქებო საქმეებით თავისებური წვლილი შეიტანეს მშობლიურ და უცხოეთის ხალხთა კულტურაში. სამწუხაროდ სამშობლოდან ევროპაში გადახვეწილი ქართული ხელოვნებისათვის მოამაგე ზოგიერთი ადამიანის სახელი ალბათ სამუდამოდ მიიფერფლა.



მეცნიერი თანამშრომელი მოგვითხრობს

საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს დავალებით შეიმუშავეს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც სავალდებულოა მეღვინეობის დარგის საწარმოთა, მანქანებისა და მოწყობილობის დაპროექტების დროს. თემის ხელმძღვანელმა, ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მ. გელეიშვილმა გვიამბო გაწეული მუშაობის შესახებ:

— დღემდე ღვინის ქარხნების დაპროექტების დროს საკმაო ყურადღება არ ექცეოდა საჭირო პირობების შექმნას ადამიანის საწარმოო საქმიანობისათვის, მისი უნარის განვითარებას შრომის პროცესში. ამიტომ ხშირად გვიხდებოდა პროექტების გაკეთება უკვე ქარხნების მუშაობის პროცესში, რაც დიდ მატერიალურ ხარჯებს იწვევდა.

ღვინის მრეწველობის საწარმოთა დაპროექტება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გათვალისწინებით შეამცირებს ახალშენებათა ათვისების ვადებს, აღმოფხვრის სამუშაო დროის დანაკარგს, შექმნის შრომის ხელსაყრელ პირობებს და მნიშვნელოვნად გაზრდის ნაყოფიერებას.

ცნობილია, რომ მეღვინეობის პროდუქციის დამზადების ტექნოლოგია მიმდინარეობს ისეთი ტემპერატურების დროს, რომლებიც არ შეესაბამება მუშის შრომის პირობებს. ამ მიზნით უკვე დაპროექტების დროს საჭიროა სწორად გავნვალაგოთ ტექნოლოგიური მოწყობილობა და გავითვალისწინოთ კონდიციონერთა დადგმა, წინათ არ ვითვალისწინებდით აგრეთვე ანტროპომეტრიულ მონაცემებს, რაც ხშირად იწვევდა საწარმოო ტრავმებს, ამცირებდა შრომის ნაყოფიერებას.

ახალი ნორმატივები ითვალისწინებენ ადამიანის ორგანიზმის ფიზიკურ შესაძლებლობებს, ფსიქოფიზიოლოგიურ ფაქტორებს. დიდი ყურადღება ექცევა შრომითი მოძრაობის მომჭირნეობას, რაციონალურ ხერხებსა და მოქმედებებს.

ტორან „ერმიტაჟის“ სცენაზე, ერთ დროს მღეროდა თამარ გრუზინსკაია.

ვოკალური და სცენური ხელოვნების დასასრულად 1903 წელს საფრანგეთსა და იტალიაში იმყოფებოდა გამოჩენილი ქართველი მომღერალი, საბჭოთა საქართველოს ვოკალური სკოლის დამსახურებული პედაგოგი ოლღა ალექსანდრეს ასული ბახუტაშვილი, რომელიც პარიზში პროფესორ ტეკისთან შუშაობდა, ხოლო მილანში პროფ. ვიდალთან და ქართველთათვის საკმაოდ ცნობილ ბროჯისთან.

1927-1957 წლებში მილანში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ნინო ცერცვაძე, რომელიც ამჟამად თბილისის კონსერვატორიის პედაგოგია. იგი გაკვეთილებს ღებულობდა კომპანინისთან, ლიაროუსესთან და კორტეზისთან. თუმცა მისი „ლა-სკალას“ სოლისტ პერტილეს პარტნიორად გამოცხადება შალიმოვის წერილში სინამდვილეს მოკლებული უნდა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ იგი მღეროდა ხოლმე დრამატული სოპრანოსთვის განკუთვნილ პარტიებს იტალიის სხვადასხვა ქალაქში.

საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწე ქართველი მომღერალი ქალებიდან გაგაცნობთ მხოლოდ იმ ღვაწლმოსილებს, რომლებიც „პრინცესა ჭეოჭეიანად“, „ბუდმშოლიც ბულბულად“ და „მილანის ტყვედ“ არიან ცნობილნი.

პირველი მათგანი, თავისი დროის გამოჩენილი მომღერალი კლარა გურამიშვილი (1866-1956), ქართული და უცხოური ვოკალური კულტურის დიდი მოტრფიალე, მოამაგე და ადყვანისმცემელი იყო. პირველდაწყებითი მუსიკალური განათლება კლარამ მიიღო თბილისში მოღვაწე ჩეხ მუსიკოს რატლთან და ისე სწრაფად დაეუფლა სიმღერას, რომ გოგონამ კასტიოლში ორღანოს თანხლებით მშვენივრად იმღერა გუნოს „ავე-მარია“. შემდეგ კლარა დაუახლოვდა ოლღა გურამიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის ოჯახებს. მათი რჩევითა და დახმარებით ნიჭიერი ახალგაზრდა ქალიშვილი პეტერბურგს გაემგზავრა და რამდენიმე თვე ფრანციგერთან მეცადინეობდა. საბედნიეროდ მას წმინდა კოლორატურული სოპრანო აღმოაჩნდა. ბუნებისაგან მიმადლებული ღამაზი ხმა სათანადოდ რომ დაემუშავებინა, იგი ვენაში გაემგზავრა. იქ კლარა გურამიშვილი მოეწყო კონსერვატორიის დირექტორ, პროფესორ იოჰან ფუქსთან. ი. ფუქსი 1880 წლიდან ვენის სამეფო ოპერის დირიჟორი, ხოლო 1888 წლიდან ვენის კონსერვატორიის კომპოზიციის პროფესორი იყო. იგი ოპერა „ზინგარას“ ავტორი და ჰენდელის, შუბერტისა და გლინკას ზოგიერთი ნაწარმოების გადამმუშავებელია. ამ გამოჩენილი პედაგოგის ხელმძღვანელობით ოთხ წელს ავარჯიშებდა კ. გურამიშვილი თავის წმინდა, ნაზსა და მსუბუქ კოლორატურულ სოპრანოს და იმდენად მშვენივრად დახვეწა, რომ მკაფიო დიქციითა და არაჩვეულებრივი ტექნიკით შესრულებული სიმღერებით მაღალგემოვნებიანი მსმენელებისა და აგრეთვე ვენელი პროფესორ-მასწავლებლების ყურადღებაც კი მიიპყრო.

ვენის კონსერვატორიის წარმატებით დამთავრებისა და ფუქსის წარჩინებული ატესტაციის შემდეგ გურამიშვილი პირველად გამოვიდა ქალაქ კელნში ჯ. მეიერბერის ოპერა „ჰუგენოტებში“, რომელშიც დედოფლის როლი შეასრულა. დებიუტანტს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. მასზე წერდნენ, როგორც „ამომავალ ვარსკვლავზე“, მსმენელნიცა და შემფასებლებიც მოხიბლულნი იყვნენ უცხოელი მომღერლით. დებიუტის შემდეგ გურამიშვილს კონტრაქტიც კი დაუდო კელნის საოპერო თეატრის დირექციამ, მაგრამ უკვე ხანგრძლივად საზღვარგარეთ მყოფი მომღერალი ოჯახური მდგომარეობის გამო საქართველოში გამოემგზავრა და თბილისში დაიწყო მოღვაწეობა, მხარში ამოუდგა თავის მეუღლეს, მხატვარ დავით გურამიშვილს.

თბილისის კონსერვატორიის დაარსებამდე მუსიკალურ სასწავლებელში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა რუსი მომღერალი თეოდორ პეტრეს-ძე კომისარჟევსკი. მას მოსმენაც კი არ სურდა ხოლმე მოხალისე მომღერლებისა, მაგრამ გურამიშვილის აკომპანიატორმა ვარვარა ნიკოლოზის ასულმა შანშიაშვილმა, რომელიც კომისარჟევსკისთან მეგობრობდა, როგორც იყო, დაითახხმა, მოესმინა კლარასთვის. უიმედო განწყობილებით შეხვდა იგი მომღერალს, მხოლოდ მოვალეობისა და ზრდილობის გულისათვის მოუსმინა, მაგრამ მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კლარამ მაღალ პროფესიულ დონეზე შეასრულა რამდენიმე სიმღერა. ამის შემდეგ ისინი არა მხოლოდ დამეგობრდნენ, არამედ ერთად გაიარეს თითქმის მთელი რუსული რეპერტუარი. კლარამ შეისწავლა ჩაიკოვსკის, დარგომიჟსკის, გლინკას ქმნილებანი.

კელნიდან დაბრუნებული გურამიშვილი კონცერტებს მართავს და საქველმოქმედო საღამოებზე გამოდის უსასყიდლოდ. 1896 წლის 5 მარტს თბილისის სახაზინო თეატრში გაიმართა კონცერტი ქართული დრამატული საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კონცერტში კ. გურამიშვილმაც მიიღო მონაწილეობა. მან, ქართული ხალხური სიმღერების გარდა, შეასრულა არიები მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტიდან“ და პროხის „ვარიაციები“ კლენოვსკის დირიჟორობით. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გარდა, თბილისელ მელომანებს დადებითი რეცენზიები გაუგზავნიათ უცხოეთის მუსიკალური პრესის რედაქციებისათვისაც. ეს რეცენზიები დაუბეჭდიათ და გურამიშვილის მაესტროს, პროფ. ი. ფუქსსაც წაუკითხავს. მოწაფის წარმატებით აღფრთოვანებულმა მასწავლებელმა ვენიდან მისაღოცი ღია ბარათი გამოუგზავნა და შემდგომი წარმატება უსურვა. გერმანელმა კომპოზიტორმა რობერტ გოუნდმა კი კ. გურამიშვილს მიუძღვნა სიმღერა „Lied“ კოლორატურული ხმისათვის და რომანსი „Partir s'est mourir un peux“ („წასვლა თითქმის სიკვდილია“).

კლარა გურამიშვილი წარმატებით გამოდიოდა საქველმოქმედო კონცერტებზე ვიოლეტას ცხონილი არიით („ტრავიატადან“), ალაბიევის „ბულბულით“, მოცარტის არიითა და ტაუბერტის „ჩიტით“. სხვათა შორის, თბილისის 1897 წლის თებერვლის რუსული და ქართული ჟურნალ-გაზეთები მას სიმღერის ცნობილ ვირტუოზებს — პატისა და ნილსონს ადარებდნენ, ხოლო 20 თებერვალს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ კონცერტზე ისეთი დიდი ხელოვნებითა და მეტყველებით შეასრულა „ვიოლეტას“ არია, რომ აღტაცებულმა საზოგადოებამ გურამიშვილი რამდენჯერმე გამოიძახა სცენაზე და სთხოვა, კვლავ ემღერა რაიმე.

მიუხედავად დაოჯახებისა, კლარამ არ უღალატა თავის ოცნებას გამხდარიყო საოპერო მომღერალი და მიზნის შესასრულებლად 1897 წელს ჩავიდა პარიზში, სადაც ოპერების შესწავლისა და უმაღლესი არტისტული ხელოვნების დაუფლებისათვის ერთი წელი დაჰყო სახელმოხვეჭილი ლამპერტის, პალერმოელი რაიმონდოს, მილანელი ფონტანის, ხოლო შემდეგ გარსიას ყოფილი მოწაფის სალვატორე მარკეზი დე კასტრონეს მეუღლე მატილდა მარკეზისთან, რომელიც თავის დროზე მომღერალთა დედოფლად იყო აღიარებული.

მარკეზისთან ერთი წლის მუშაობამ გურამიშვილი ოპერის პირველხარისხოვან არტისტად აქცია. მისი წკრიალა ხმა და მღერის სტილი მუსიკოსთა ცხოველ ინტერესს იწვევდა. ნაყოფიერი მეცადინეობითა და წარმატებით კმაყოფილმა მატილდა მარკეზიმ მოწაფეს გამოთხოვებისას სახსოვრად თავისი სურათი მიუძღვნა წარწერით: „ჩემს ძვირფას მოსწავლეს, კეთილმოსაგონრად მატილდა მარკეზისაგან. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო კლარა“.

სურათებზე: მარცხნივ — კლარა გურამიშვილი, მარჯვნივ — კლარა გურამიშვილის მასწავლებელი მატილდა მარკეზი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ვაჩის ახალი სიცოცხლე

მესხეთი წარსულში ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და ლამაზი კუთხე იყო. კარგი ყანები, აყვავებული ბაღები, ვენახები ახარებდა ვაჭრებისა და მოგზაურთა თვალს, რომლებიც ევროპიდან აზიაში ამ მხარის გავლით მიდიოდნენ.

მაგრამ უცხოელმა დამპყრობლებმა გადაწვეს ხშირი ტყეები, აჩეხეს ბაღები და ვენახები, გააჩანაგეს სოფლები. განსაკუთრებით დაზიანდა ვაზი: მაჰმადიანთა სარწმუნოება კრძალავდა ღვინის სმას. მევენახეობა და მეღვინეობა მესხეთში დაეცა.

მხოლოდ ჩვენი საუკუნის ორმოციანი წლების დამლევიდან დაიწყო სამხრეთ საქართველოში მევენახეობის განვითარების პერსპექტივების შესწავლა და ამასთან დაკავშირებით ადრეულ ჯიშების ვაზის ძებნა. ამ სამუშაოს საფუძველი ჩაუყარეს პროფესორმა მ. რამიშვილმა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა დ. ტაბიძემ. შემდგომში მესხეთში მევენახეობის განვითარების პრობლემებზე სხვა მეცნიერებიც მუშაობდნენ, ხოლო უკანასკნელ ათწლეულში ესტაფეტა მიიღო საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საყრდენი პუნქტის გამგემ, სოფლის მეურნეობის კანდიდატმა მ. წიქვაძემ.

ამას წინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა მისი წიგნი „მევენახეობის აგროტექნიკა მესხეთში“, რომელშიც განზოგადებულია ათი წლის მუშაობის შედეგები.

წიგნში მოყვანილია დეტალური რეკომენდაციები ვენახებისათვის ნაკვეთების არჩევისა და გასაშენებლად ნიადაგის მომზადების, ვაზის გასხვლისა და მწვანე ოპერაციების შესრულების შესახებ, სიმეჩხრის აღმოფხვრისა და მცენარეთა მკურნალობის, ვენახების მორწყვისა და ყინვისაგან მათი დაცვის შესახებ.


ავტორი დასკვნის, რომ 10-15 წლის მანძილზე ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებში შეიძლება ვენახებისთვის გამოიყოს ოთხი ათასამდე ჰექტარი ზღვის დონიდან 900-1.400 მეტრ სიმაღლეზე. ჯიშების შერჩევა უნდა ხდებოდეს ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით. დაბლობში — ევროპული და შამპანური ჯიშები, აგრეთვე სუფრის ჯიშები: პინო, ალიგოტე, ჩინური, ადგილობრივი ჯიშები — სამაროობო, როკუტულა, საფარულა. ზემოთ მთის კალთებზე უნდა განლაგდეს მსუბუქი სუფრის ღვინოების ჯიშები — რქაწითელი, გორული მწვანე, ხოლო უფრო მაღლა — ადრეგენული და საკონიაკე ჯიშები: შასლა, ახალციხის თეთრი, ბუდეშური თეთრი და სხვ.

წიგნს დიდი ინტერესით კითხულობენ არასპეციალისტებიც კი, იმიტომ, რომ იგი დაწერილია საქმის ღრმა ცოდნით, მშობლიური მხარის სიყვარულით.

მოკლედ

წითელწყარო. ამ უკანასკნელ წლებში აქ დიდი ყურადღება ექცევა სასარგებლო ნადირ-ფრინველის გამრავლებასა და მტაცებელ ნადირთა განადგურებას. ამ მიზნით მონადირეთა საზოგადოებას აქვს ორი საჭვენებელი მეურნეობა: ერთი სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის ტყის ზოლში და მეორე სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის ტყის და მინდვრის ზოლებში. ორივეს ფართობია 17.000 ჰექტარი. მეურნეობებში გამრავლდა ხოხობი, კურდღელი, გხოლი და სხვა.

მტაცებელ ნადირთა გასანადგურებლად მონადირეთა საზოგადოებას შექმნილი აქვს სპეციალური სექცია.



ჩოხატაურის ერთ-ერთი კუთხე.

შეხვედრა ახალგაზრდა დირიჟორთან

ჩვენი თანამედროვენი კარგად იცნობენ გამოჩენილ მომღერალს სერგო გოცირიძეს. თბილისის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ სერგო გოცირიძე, დიმიტრი მჭედლიძესთან, დავით ბადრიძესა და დავით გამრეკელთან ერთად, წლების მანძილზე მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ბანის პარტიებს მღეროდა. უკანასკნელ ხანებში სერგო თბილისში მოღვაწეობდა, სადაც იგი, როგორც დირექტორის მოადგილე, საქართველოს ფილარმონიას ხელმძღვანელობდა. **ამ გამოცდილი მომღერლის, სათნო, გულისხმიერი ადამიანისა და ხელოვანის ოჯახში აღიზარდა გიორგი გოცირიძე.**

გავიდა წლები. გიორგიმ ჩინებულად დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორიის სადირიჟოროდა თეორიული ფაკულტეტები. მას შეეძლო მოსკოვში დარჩენა, მაგრამ რომელიმე დირიჟორის ასისტენტობას დამოუკიდებელი მუშაობა არჩია. ამ მიზნით გიორგი გოცირიძე ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ატას გაემგზავრა, სადაც იგი ამჟამად ადგილობრივი სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორია. ალმაატელ მსმენელთ უყვართ და დიდ პატივსა სცემენ ახალგაზრდა ნიჭიერ ქართველ მუსიკოსს, რომელიც მათ სისტემატურად აცნობს დასავლეთ ევროპის, რუსი კლასიკოსებისა და თანამედროვე კომპოზიტორთა საუკეთესო ნაწარმოებებს. მაგრამ სულ სხვაა თბილისის საზოგადოებრიობა, აღზრდილი პროფესიულ მუსიკალურ ტრადიციებზე და საკმაოდ განებივრებული მსოფლიოში სახელგანთქმული დირიჟორებისა და მუსიკოს-შემსრულებელთა გამოსვლებით.

ამიტომ გასაგებია არტისტული მღელვარება, რომელმაც ახალგაზრდა მუსიკოსი გიორგი გოცირიძე შეიპყრო. ამას წინათ მას პირველად მოუხდა სადირიჟოროპულტთან გამოსვლა მომთხოვნი ქართული აუდიტორიის წინაშე. ასეთ შემთხვევებში კრიტიკა ანგარიშს უწევს ხოლმე დებიუტანტის აღელვებულობას, მის გამოუცდელობას. მაგრამ გიორგი გოცირიძეს ასეთი „შეღავათები“ არ დასჭირებია. მისი ლოტბარობით ახმოვანებული საორკესტრო მუსიკის პირველი ტაქტებიდანვე ნათელი გახდა, რომ **ჩვენს წინაშე დიდად ნიჭიერი, ვაუკაცური ნებისყოფის მქონე ახალგაზრდა დირიჟორია. შესრულებულ ნაწარმოებთა პარტიტურების დაწვრილებითი ცოდნა, მათი იდეურ-სტილისტურ და მხატვრულ შინაარსში შეღწევის უნარი შესანიშნავად არის შერწყმული მაღალ მომთხოვნელობასა და ნატიფ მუსიკალურ გემოვნებასთან.**


არ ვიტყვი, რომ კონცერტის პროგრამა იდეალურად ყოფილიყო შედგენილი. ს. რახმანინოვის „სიმფონიური ცეკვები“ თავისი პროგრამული ნაწილებით („დილა“, „შუადღე“, „საღამო“, 1940 წელი) როდი მიეკუთვნება ამ გამოჩენილი კომპოზიტორის საუკეთესო ნაწარმოებებს. ამას გარდა, კონცერტის პირველ განყოფილებაში სასურველი იქნებოდა ერთი რომელიმე მნიშვნელოვანი სიმფონიის შესრულება. მაგრამ ისიც, რაც მოვისმინეთ, გ. გოცირიძის არტისტულ ტემპერამენტულობას და მაღალ საშემსრულებლო ტექნიკას მოწმობს.

პ. ჩაიკოვსკის „ვარიაციები „როკოკოს“ თემაზე“ ჩელოსა და ორკესტრისათვის საკმაოდ რთულ მხატვრულ ამოცანებს უსახავენ როგორც სოლისტს, ისე დირიჟორს. პირველს მოეთხოვება დაკვრის უზადო ტექნიკა და ემოციურობა, რაც შესანიშნავად გამოამჟღავნა ამ პიესის ბრწყინვალედ შემსრულებელმა, საქართველოს ფილარმონიის სოლისტმა ელდარ ისაკაძემ (პარიზის მსოფლიო კონკურსის ლაურეატის, ნიჭიერი ქართველი მევიოლინე ქალის ლიანა ისაკაძის ძმამ). რაც შეეხება დირიჟორს, იგი მოვალეა ფხიზლად მისდიოს სოლისტის ზოგჯერ „მიზეზიან“ დაკვრას, და ორკესტრის ყურადღებიან და რიტმულად ზუსტი თანხლებით ხელი შეუწყოს ამ ჩინებული ნაწარმოების სტილისტურად სრულყოფილ შესრულებას. ამ მხრივაც გიორგი გოცირიძემ დირიჟორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება გამოამჟღავნა.

განსაკუთრებით გვასიამოვნა ახალგაზრდა დირიჟორის მიერ ჩაიკოვსკისავე „იტალიური კაპრიჩიოს“ შესრულებამ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები თითქმის ყოველ დირიჟორს თავისი საკონცერტო პროგრამის „მორიგ კერძად“ აქვს მიჩნეული, გიორგი გოცირიძემ იგი გადმოსცა ახლებურად, წმინდა ახალგაზრდული ცხოველმყოფელობით, მოელვარე კოლორიტულობით და „სამხრეთული“ ტემპერამენტულობით. ამასთან — არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, ან ყალბი ჟესტი, ან წინასწარ მოფიქრებული „თეატრალური“ პოზა! **მთელი კონცერტის განმავლობაში იგრძნობოდა, რომ დირიჟორის მიერ შესრულებულ ნაწარმოებთა იდეური შინაარსის ღრმად რაციონალური გააზრება კოორდინირებული იყო გულწრფელ ემოციურობასა და ნამდვილ არტისტულ ტემპერამენტთან.**

გიორგი გოცირიძეს უდავოდ დიდი მომავალი აქვს. მისი ახოვანი ფიგურა, ჭეშმარიტად ინტელიგენტური გამომეტყველება სახისა, ორკესტრის და აუდიტორიის თავის ნებისადმი დამორჩილების უნარი — ყოველივე ეს მის სასარგებლოდ მეტყველებს. მაგრამ ამ უეჭველ და ძვირფას მონაცემებს გარდა ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს მართებს უფრო ორგანიზებული შრომა, განუხრელი წინსწრაფვა და მკაცრი მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, რათა **ახლო მომავალში მისგან ფართო მასშტაბის დირიჟორი ჩამოყალიბდეს. და ჩვენ გვწამს, რომ ეს ასეც იქნება, რადგან ამის მტკიცე საწინდარია თვით გიორგის ნიჭი, მისი დიდი მუსიკალობა, საფუძვლიანი პროფესიული მომზადება და მისი წარმომშობი გზის უშრეტი შემოქმედებითი ენერგია, მარად მზარდი სულიერი სიმდიდრე.**

პროფესორი **პავლე ხუჭუა.**




სურათზე: დირიჟორობს გიორგი გოცირიძე.

რკინაბეტონის „მკურნალობა“

ხიდების, არხების, სამრეწველო და სამოქალაქო შენობების, სხვა ნაგებობების აშენების დროს სულ უფრო მეტად იყენებენ წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის კონსტრუქციებს. დეტალები ასეთი საშენი მასალისაგან ძლიერ მკვიდრია. ამას აღწევენ ხიდების მომავალი მალებისა და შენობათა გადახურვის კარკასების ფოლადის არმატურის წინასწარი გაჭიმვით. სიმივით გაჭიმული ბეტონი გაცილებით უკეთ უწევს წინააღმდეგობას გადიდებულ მადეფორმაციერებელ დატვირთვებს. მაგრამ მშენებლებმა შენიშნეს, რომ გაჭიმული ლითონი გარკვეული დროის შემდეგ ხშირად რამდენადმე იცვლის თვისებებს — იჭიმება რეზინივით. ხდება ეგრეთწოდებული ლითონის რელაქსაცია. მასთან ბრძოლა ზრდის მომავალი დეტალების კონსტრუქციების კარკასების მომზადების ვადას, აძვირებს მათ ღირებულებას.

საქართველოს მეცნიერებმა გამონახეს ამ ავადმყოფობისაგან სარმატურო ფოლადის განკურნების რადიკალური საშუალება. აღმოჩნდა, რომ ამისათვის კარგი წამალია მაღალი ძაბვის დენი, რომელსაც იყენებენ ფოლადის ძაფების დაჭიმვის პროცესში. ეს გამოავლინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებმა პ. გაბუნიამ, ლ. გველესიანმა და ო. კვიცარიძემ. მათ შეიმუშავეს მავთულის არმატურის ელექტრომექანიკური დამუშავების დანადგარის მარტივი ტექნოლოგიური სქემა. ლითონი გაჭიმვისა და ამავე დროს ძლიერი გახურების პროცესში ახალ თვისებებს იძენს. ამ ოპერაციის შემდეგ მისი რელაქსაციური მედეგობა 70-80 პროცენტით იზრდება.

საარმატურო ფოლადის დამუშავების ახალი ხერხი შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ლითონის ნაწარმის ქარხნებში, აგრეთვე სამშენებლო ინდუსტრიის მსხვილ საწარმოებში, რომლებიც უშვებენ რკინაბეტონის ნაკეთობებს.



ქაღალდი ტულიპის ხისაგან

შავი ზღვის სანაპიროს უხვ მცენარეულობაში ვხვდებით ტანწერწეტა ცაში ატყორცნილ ხეებს. ზაფხულისათვის ფოთლებში გამოსჭვივის ნაზი ყვავილები, რომლებიც გარეგნულად ტულიპებს ჰგავს. ტულიპის ხის სამშობლოა ჩრდილოეთ ამერიკა და ჩინეთი. საქართველოში იგი შემოიტანეს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ და გააშენეს მხოლოდ დეკორატიული მიზნით.

თბილისის ხე-ტყის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა ყურადღება ტულიპის ხემ მიიპყრო არა მარტო თავისი სილამაზით, არამედ სწრაფი ზრდის უნარითაც (10 წელიწადში აღწევს ოთხსართულიანი სახლის სიმაღლეს). 25 წლისათვის შეიძლება მივიღოთ 540 კუბური მეტრი მერქანი. ნაძვის ჯიში ამდენ მერქანს იძლევა მხოლოდ 120 წლის ასაკში. როგორც ლაბორატორიულმა გამოკვლევამ ცხადყო, ამ ხის მერქანი ძალიან ძვირფასია სამრეწველო გამოყენებისათვის, იგი კარგი ნედლეულია ფანერისა და ავეჯის წარმოებაში. ტულიპის ხისაგან დამზადებული ნაწარმი გამოირჩევა ლამაზი და სასიამოვნო ოქროსფერ-მოყვითალო ფერით. მისი მერქანისაგან მიღებულია აგრეთვე საუკეთესო ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ექსპერიმენტული საწერი ქაღალდი. წმინდა ფოთლოვანი ჯიშის ხისაგან ქაღალდი საბჭოთა კავშირში მიღებულია პირველად.

ხარჯები ქაღალდის წარმოებისათვის ტულიპის ხის გამოყენების დროს 2-2,5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე წიწვიანი ჯიშების გამოყენების დროს. მომავალში განზრახულია გაშენდეს 10 ჰექტარზე მეტი ეს ძვირფასი ჯიში კოლხეთის რაიონში.

◆

მაღაროელები უმაღლესი განათლებით

ჰიათურა. მაღაროთსამმართველოს უბნის გამგემ გივი გაგნიძემ ამას წინათ წარმატებით დაიცვა სადიპლომო პროექტი და მიიღო ინჟინრის წოდება. გაგნიძე ერთ-ერთია იმ 550 მუშა-მაღაროელთაგან, ვინც უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიათურის ფილიალში მისი არსებობის 14 წლის მანძილზე. მბურღავები, გვირაბგამყვანები, მნგრეველ-მტვირთავები ახლა წარმოების წამყვანი მეთაურები გახდნენ. მაგალითად, ვიქტორ ჭანტურია რვა წლის მანძილზე გვირაბგამყვანად მუშაობდა. მან დაიცვა დიპლომი, სამთო ინჟინრის სპეციალობა მიიღო და პერევისის მაღაროს მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე დაწინაურდა.

ამჟამად 600-მდე მაღაროელი იღებს უმაღლეს განათლებას ფილიალში.

„სამშობლოს ხმის“ ინტერვიუ

ქართული კერამიკა

გააფთრებული კავკასიური ჯიქი გარინდულა და მზად არის გადმოხტეს... ორნამენტიდან, რომელიც მხატვრის ოსტატურ ხელს ჩაუქსოვია ელეგანტურ ვაზაში.

საქართველოა ასახული კერამიკულ ნაკეთობებში, რომლებიც ამას წინათ მცხეთიდან საფრანგეთში გაიგზავნა. აქ არის ჯიხვი, რომელიც მაღალი მთიდან იყურება, და ორყელიანი პატარა სურები, რომლებიც მოგვაგონებენ ნარნარად მოცეკვავე ქართველ ქალებს. აი ლამაზი ვაზები ყვავილებისათვის, რომლებშიც კარგად გამოიყურება იასამანი, ნაძვის ტოტიც და მინდვრის ყვავილებიც, საგნების ფორმები ლაკონიურია და თითქოს შთაგონებულია.

ორი ათასამდე ნაწარმი გაგზავნა მცხეთის კერამიკულმა ქარხანამ საფრანგეთში, და ეს ერთადერთი ქვეყანა როდია, რომელიც სიამოვნებით ყიდულობს ქართველ კერამიკოსთა ნამუშევრებს. იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, იუგოსლავიაში, პოლონეთში — სულ 18 ქვეყანაში გზავნის თავის პროდუქციას ქარხანა.

ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის კათედრის გამგეს **გ. ქართველიშვილს** ეამბნა ხალხური ხელოვნების ამ სახეობის განვითარებისა და სპეციფიკის შესახებ.

— ქართული კერამიკის ხელოვნება უძველესი დროიდან მოდის. საუცხოო კერამიკული საგნები არა ერთხელ უპოვიათ არქეოლოგებს ისტორიული ძეგლების გათხრების დროს. თანამედროვე კერამიკოსებმა გამოიცნეს „მოსევადების“ — იმ ხერხის საიდუმლოება, რომელსაც ჩვენი წინაპრები იყენებდნენ საოჯახო საგნების დამზადების დროს. ქართული კერამიკის ოსტატები ვირტუოზულად ფლობენ მასალებს. მათ დიდ წარმატებებს მიაღწიეს და ცდილობენ ეროვნული კერამიკის ტრადიციები შეუხამონ თანამედროვე სტილს. კერამიკოსები იყენებენ ყოველნაირ ჭრას, შერბილებულ შტრიხებს, ორნამენტს უკეთებენ საგნის გლუვ ან ოდნავ ხორკლიან ზედაპირს. ქართული კერამიკისათვის ტიპიურია შავი, ყავისფერი ან მრუხო ზედაპირი, რომელიც ხშირად შეხამებულია ორნამენტის ოდნავ მბრწყინავი, სხვა ტონის ჭიქურთან, რაც ქმნის სადა სილამაზის შთაბეჭდილებას. ზოგიერთ ნაწარმში ჭიქური შეხამებულია თვით საგნის ფერთან მოგვაგონებს ჭედურობას, რომლითაც განთქმული არიან ქართველი მხატვარი იუველირები, საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის განკუთვნილი ამ საგნების მეტი წილი ამავე დროს ხელოვნების ნაწარმოებია.

ვისაც უნახავს ქართველ კერამიკოსთა ნამუშევრები მონრეალში, მოხიბლულა მათი ელეგანტურობით და ნატიფი ეროვნული კოლორიტით. გამოფენაზე წარდგენილი იყო 50-ზე მეტი ნიმუში. ქართული მხატვრული კერამიკის ნაწარმოებნი ჯილდოდ გადაეცა საბჭოთა პავილიონში მოწყობილი ვიქტორინის გამარჯვებულებს.

თანამედროვე ქართული კერამიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა პროფესორმა ა. ქუთათელაძემ. მისი დახმარებით მცხეთაში შეიქმნა კერამიკული ქარხანა — სტუდენტთა სასწავლო-საწარმოო ბაზა. აქ ისინი გადიან პრაქტიკას, ამზადებენ სადიპლომო ნამუშევრებს. ამ საწარმოს მიერ შესრულებული კერამიკული საგნები ექსპონირებული იყო ოსტენდის, თეირანის, უენევის, პრაღის საერთაშორისო გამოფენებზე, მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, სადაც მიენიჭათ ოქროს მედლები, დიპლომები და მცოდნეთა უყველაზე მაღალი შეფასება.

[-10] 4. 10/94

სპორტული მიმოხილვა

კარგა ხანია სპორტზე არ გვისაუბრნია. კარზე მოგვადგა მსოფლიო ოლიმპიური თამაშები. მსოფლიო სპორტის ვარსკვლავებმა მექსიკის დედაქალაქს მიაშურეს და თან გაიყოლეს მილიონობით გულშემატკივრების საუკეთესო სურვილები. ზეიმით გააცილეს ქართველი ოლიმპიელები საქართველოს სპორტისმოყვარულებმა. ჩვენი რესპუბლიკა მეხიკოს ოლიმპიადაზე 14 სპორტსმენით წარსდგება.

თავისუფალ ჭიდაობაში მეხიკოში იასპარეზებენ: ევროპის ექსჩემპიონი, მსოფლიო პირველობის პრიზიორი **ზაურბეგ ბერიაშვილი** და ევროპის ექს-ჩემპიონი **შოთა ლომიძე. კლასიკურ ჭიდაობაში** — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი **რომან რურუა** და ევროპის ჩემპიონი **ომარ გლიბაძე.** ეს უკანასკნელი ოლიმპიური თამაშების დებიუტანტია. სსრ კავშირის მოჭიდავეთა ოლიმპიური ნაკრები გუნდი, რომლის წევრები არიან ზემოთჩამოთვლილი სპორტსმენები, ამჟამად ერთ-ერთი უძლიერესია ევროპაში და ოლიმპიადის ფავორიტად ითვლება. ქართველი მოჭიდაველებიდან მიმომხილველები გამოყოფენ რომან რურუას, რომელიც წელსაც კარგ სპორტულ ფორმაშია და უდავოდ შეუძლია მოიპოვოს ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი, რომელიც ტოკიოს ოლიმპიადაზე შემთხვევით დაკარგა და მხოლოდ ვერცხლით დაკმაყოფილდა.

ჩვენს მკითხველებს უკვე წინა მიმოხილვაში ვაცნობეთ, რომ ოლიმპიური საგზური იოლად მოიპოვა ველოსიპედისტმა **ომარ ფხაკაძემ.** ომარი სპრინტში ოლიმპიური ნორმის შესრულებით ჩემპიონის ჰოლანდიის ველოსიპედისტთა ნაკრებს მწვრთნელის იან დერიქსენის აზრი. აი ისიც: „ფიზიკური და ჩქაროსნული შესაძლებლობით ფხაკაძე ახლა № 1 სპრინტერია არა მარტო მოყვარულებში, არამედ პროფესიონალებშიც“.

უთუოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მეხიკოსა და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი ფრანგი დანიელ მორელონი, მისი თანამემამულე პიერ ტრანტენი და იტალიელი ჯორდანო ტურინი თუ გაუწევენ. ფხაკაძე წელს უფრო ძლიერია. ასეთია უველას აზრი. მართლაც, წლევანდელი მრავალრიცხოვანი გამოსვლების დროს მან მხოლოდ ერთხელ დატოვა ტრეკი დამარცხებულმა, ისიც მსოფლიოს ჩემპიონ მორელონთან შეხვედრაში. ამ დამარცხებას სპეციალისტები „ფხაკაძის ოინს“ უწოდებენ, ამბობენ, რომ ომარმა შეგნებულად წააგო ეს ორთაბრძოლა და ამ მარცხს შემდეგი გამარჯვებისათვის გამოიყენებსო. მეხიკოში გამგზავრების წინ საბჭოთა კავშირის ველოსიპედისტთა გუნდის მწვრთნელმა რ. ვარგაშკინმა აღნიშნა, რომ ომარმა უკვე იცის თავისი ძალების ბრძნული განაწილება, რაც მას აქამდე არ ეხერხებოდაო. ერთი სიტყვით, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენის გამარჯვებას მეხიკოს ოლიმპიადაზე ახლა ბევრი სპეციალისტი ვარაუდობს. უველა ამ ნათქვამს მეტად თავისებურ, დამაჯერებელ დაბოლოებას აძლევს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ჰოლანდიის ველოსიპედისტთა ნაკრების მწვრთნელის იან დერიქსენის აზრი. აი ისიც: „ფიზიკური და ჩქაროსნული შესაძლებლობით ფხაკაძე ახლა № 1 სპრინტერია არა მარტო მოყვარულებში, არამედ პროფესიონალებშიც“.

უთუოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მეხიკოსა და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი ფრანგი დანიელ მორელონი, მისი თანამემამულე პიერ ტრანტენი და იტალიელი ჯორდანო ტურინი თუ გაუწევენ. ფხაკაძე წელს უფრო ძლიერია. ასეთია უველას აზრი. მართლაც, წლევანდელი მრავალრიცხოვანი გამოსვლების დროს მან მხოლოდ ერთხელ დატოვა ტრეკი დამარცხებულმა, ისიც მსოფლიოს ჩემპიონ მორელონთან შეხვედრაში. ამ დამარცხებას სპეციალისტები „ფხაკაძის ოინს“ უწოდებენ, ამბობენ, რომ ომარმა შეგნებულად წააგო ეს ორთაბრძოლა და ამ მარცხს შემდეგი გამარჯვებისათვის გამოიყენებსო. მეხიკოში გამგზავრების წინ საბჭოთა კავშირის ველოსიპედისტთა გუნდის მწვრთნელმა რ. ვარგაშკინმა აღნიშნა, რომ ომარმა უკვე იცის თავისი ძალების ბრძნული განაწილება, რაც მას აქამდე არ ეხერხებოდაო. ერთი სიტყვით, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენის გამარჯვებას მეხიკოს ოლიმპიადაზე ახლა ბევრი სპეციალისტი ვარაუდობს. უველა ამ ნათქვამს მეტად თავისებურ, დამაჯერებელ დაბოლოებას აძლევს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ი. მიაკეს მსოფლიო რეკორდს.

დიმიტრი შანიძეც ოლიმპიური თამაშების დებიუტანტია. ვფიქრობთ, ეს ასპარეზობა დიდ გამოცდილებას შესძენს ამ ნიჭიერ ათლეტს.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ორი ოლიმპიელის — 14 წლის მცურავის **თინა ლეკვეიშვილისა** და 27 წლის ბადროს მეტყორცნელის **გურამ გუდაშვილის** წარმატება. ორივემ დამსახურებულად მოიპოვეს მეხიკოს საგზურები და გაახარეს ქართველი სპორტის მოყვარულები. თინა ლეკვეიშვილი თბილისელი მოსწავლეა, მიმდინარე წელს გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, იგი მეხიკოს ოლიმპიადის უველაზე ახალგაზრდა მონაწილეა. გურამ გუდაშვილმაც წელს დაისაკუთრა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. მის მიერ ნატყორცნი ბადრო 62 მეტრსა და 14 სანტიმეტრზე გაფრინდა. სპეციალისტთა აზრით, დებიუტანტს მეხიკოში პრიზიორთა შორის მოხვედრის შანსი აქვს.

გარდა ზემოჩამოთვლილი სპორტსმენებისა საქართველოდან ოლიმპიადაზე გამოვლენ აგრეთვე მსროლელი **შოთა ჟველიაშვილი** კალათბურთელი **ზურაბ საპანდელიძე** და სხვ.

ახლა მოკლედ მოგითხრობთ ჩვენს „საშინაო“ სპორტულ ცხოვრებაზე. კიროვაბადის „დინამოსთან“ დამარცხების შემდეგ თბილისის „დინამომ“ დამაჯერებლად მოიგო რამდენიმე თამაში. ქუთაისის „ტორპედომაც“ გამოაჩინა „ბრჭყალები“, და ორივე გუნდმა სეზონის მეორე ნახევარში სატურნირო ცხრილში მტკიცედ დამკვიდრეს პირველმა მეხუთე, ხოლო მეორემ მე-14 ადგილი. თუ გავიხსენებთ წლევანდელი გათამაშების ფორმულირებას, რომ პირველი ლიგა მხოლოდ ერთმა კოლექტივმა უნდა დატოვოს, ქუთაისელებს საქმე კარგად აქვთ. მათ უკან მოიტოვეს ტაშკენტის „პახტაკორი“, კიროვაბადის „დინამო“, ალმა-ატის „კაირატი“. ამ სამი გუნდიდან უველაზე სავალალო შედეგი აქვს კიროვაბადის „დინამოს“, რომელიც ამ სეზონის ბოლოს ერთ-ერთ ჯგუფში ჩაეფლო. ამ ჯგუფში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ბაქოს „ნეფტჩი“, რომელმაც ფინალში ანგარიშით 6:2 დაამარცხა წულუკიძის (ხონი) „ფეიქარი“.

ტყვიაგულელმა სპორტსმენებმა და სპორტის მოყვარულებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს, აქ გაიხსნა სტადიონი, რომელიც 20 ათასამდე მაყურებელს იტევს.

რ. ჭელიძე.

სქესტაფონში ორ წარმატებას მიაღწია **ბუხუტი გურგენიძემ.** სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის ქ. ტალინის ნახევარფინალში დაიკავა პირველი ადგილი და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, ახლახან კი ერთ-ერთი საერთაშორისო შეჯიბრებაც მოიგო. ბუხუტი გურგენიძეს საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ნანა ალექსანდრია კვლავ გახდა საქართველოს ჩემპიონი. აგვისტოში დუშეთში გამართული საქართველოს პირველობა მან დაუმარცხებლად გაიარა, ამჟამად კი დამაჯერებლად ლიდერობს სსრ კავშირის ქალთა პირველობას ქ. დუშანბეში.

ჩოგბურთი. თბილისში 18 ოქტომბერს გაიხსნება სსრ კავშირის პირადგუნდური ჩემპიონატი. ქართველი გულშემატკივრები დიდ იმედს ამყარებენ **ალექსანდრე მეტრეველზე.** მან ფეხის მძიმე ტრავმა გადაიტანა, მაგრამ ინტენსიურად ვარჯიშობს და იმედი აქვს მესამედ მოიპოვებს ჩემპიონის ტიტულს.

დასასრულ ტრადიციულად კვლავ ფეხბურთზე და დავამთავროთ ჩვენი მიმოხილვა. საქართველოს თასი მოიპოვა თბილისის „სინათლემ“, რომელმაც ფინალში ანგარიშით 6:2 დაამარცხა წულუკიძის (ხონი) „ფეიქარი“.

ტყვიაგულელმა სპორტსმენებმა და სპორტის მოყვარულებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს, აქ გაიხსნა სტადიონი, რომელიც 20 ათასამდე მაყურებელს იტევს.

რ. ჭელიძე.

ეჭვსი წლის თემრუკის ოინები

სოხუმური საფარი

სოხუმი. აფრიკაში ეგზოტიკურ ცხოველებზე ნადირობა-სათვარო არაფრით არ განსხვავდება იმისაგან, რაც ამჯერად მოხდა „სოხუმის ჯუნგლში“.

ეჭვსი წლის მამალი პავიანი, სახელად თემრუკი, გაიპარა სოხუმის ჯიშთსაშენის ვოლიერიდან და გადაწყვიტა მხიარულად აღენიშნა „მოპოვებული“ თავისუფლება. და ეს მან კარგადაც შეძლო, მართალია ცოტა ხნით. როცა აგრესიულად განწყობილი პავიანი შეიჭრა წყნარი ყაზბეგის ქუჩის ერთ-ერთ ეზოში, მისი მცხოვრებლები ძალზე შეშფოთდნენ. დაფეთებული გარბოდნენ კატები და ძაღლები. ჩვეულებრივ მამაცი ბიჭები მეზობელი ეზოებიდან იძულებული იყვნენ მორიდებოდნენ მრისხანე მაიმუნს. თემრუკი გაბატონდა ეზოში და მიაძღა ბაღში ვაშლს, შემდეგ კი დაიწყო ტიუნაობა აივანზე, სახლის სახურავზე.

მაიმუნმა გადაწყვიტა გაეფართოებინა თავისი გაელენის სფერო და გადავიდა ახლად აშენებული მეზობელი სახლის ეზოში. სწორედ აქ მოვიდა მსუბუქი მანქანა. ამ მანქანით მოვიდნენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის თანამშრომლები. მათ შორის უველაზე გამოცდილი იყო ბიოქიმიის ლაბორატორიის გამგე გ. ანენკოვი, რომელსაც უკვე უნადირნია მაიმუნებზე აფრიკაში. აი მის ხელთ გაიელვა უცნაურმა გრძელლულიანმა რევოლვერმა და ტყვია მოხვდა ჭაღარა პავიანს ხელში. გაბარბაცებულმა მაიმუნმა უმალ ამოიღო ჭრილობიდან ბრჭყვიალა ტყვია, უსუნა და გადაისროლა ბუჩქებში. იმავე წამს მონადირემ ერთხელ კიდევ გაისროლა, ახლა ტყვია თემრუკს. ეს საკმარისი აღმოჩნდა, მაიმუნმა ერთბაშად მოიწყინა და თვალი მილულა. ახლა მყუდროების დამრღვევის შეკითხვა ადვილი იყო. ტყვიებმა, უფრო სწორად შპრიცებმა, რომლებშიც იყო სპეციალური დამამშვიდებელი პრეპარატი სერველანი, თავისი ქნა. თემრუკი ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს თავის ნათესავებთან.

როგორც მძიმე ლოთობის შემდეგ გაელვიძა თემრუკს ვოლიერში. იგი დასუსტებული იყო, ბარბაცებდა, მძიმედ სუნთქავდა. მაგრამ მერე დილას უკვე ფორმაში შევიდა.

ᲒᲐᲣᲡᲐᲯᲘᲜᲔᲗ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი ვინსევკათია

თბილისი, გ. ათონელის, ქ. № 25